საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის № 148 ხუთშაბათი, იანვრის 18 (31) 1918 წ. № 148

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

[illegible] გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩერნინმა რ[illegible] [illegible]ვიდა, დაპყრობილი ადგილები რუსეთს სავსებით [illegible]აო.—გერმანიის კანცლერმა ჰერტლინგმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რეიხსტაგში: მან ელზას-ლორენის დაბრუნება მოითხოვა.—გერმანელები მოითხოვენ, რომ ახალშენები ხელახლად იქმნას განაწილებული.—რუსეთის ამბების შესახებ არავითარი ცნობები არ მოსულა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (გ. თავართქილაძისეული „ნაფეტვა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის აფრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29

ღრმად დამწუხრებულნი ნინო დურმიშხანის ასული მაჭარაშვილი და მისი შვილები ირინე და მიშა, გიორგი დურმიშხანისძე და ელენე გიორგის ასული ქურული შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 10 იანვარს სად. შამქორთან ჯავშნიან მატარებელში, დაიღუპა პირველის დაუვიწყარი და ძვირფასი შვილი, მეორეთა ძმა, ხოლო უკანასკნელთა დისწული ქართველ ცხენოსანთა ბატარეის პოდპორუჩიკი

## ნიკუშა ილიასძე მაჭარაშვილი.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება გორის მაზრის სოფ. არბოში, წმ. გიორგის ეკლესიაში, საგვარეულო აკლდამაში. ქვაშვეთის ეკლესიიდან ვოგზალში გამოასვენებენ პარასკევს, 19 იანვარს. წირვა დაიწყება 10 ს. 68

---

ოფიცრები და ჯარისკაცნი ქართველთა სამთო ცხენოსან ბატარეისა მწუხარებით აუწყებენ ტრაგიკულად გარდაცვალებას თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს ჯავშნიან მატარებელზე პოდპორუჩიკ

## ნიკოლოზ ილიასძე მაქარაშვილის

და „ვოლნოოპრედელიაიუშჩის

## გ. ჩიკვაიძისას

პანაშვიდი 18 იანვარს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 19 იანვარს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 76

---

დიმიტრი ელიჩუხისძე გიგინეიშვილი ოჯახობით, ალექსანდრა დიმიტრის ასული და არტემ გრიგოლისძე ნაკაიძენი ბავშვებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს ტრაგიკულად და გმირულად დაიღუპა: პირველისა—ძვირფასი ძმისწული, მეორისა—ძმა, მესამისა ცოლისძმა შტაბს-როტმისტრი

## ევგენი სოლომონისძე აფხაზავა.

პანაშვიდი ყოველდღე დილის 10 ს. და საღამოს 6 ს. სასტუმრო „ნოეში", სადაც დასვენებულია გვამი მიცვალებულისა. ოზურგეთის მაზრის სოფ. ჯურუყვეთში გასვენება მოხდება 18 იანვარს, ნაშუადღევს 4 ს. 74

---

ღრმად დამწუხრებულნი ბარბარე გიორგის ასული შვილებით: სოფიო, თამარა სოლომონის ასულნი და ონისიმე სოლომონის ძე გეგელაშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას ძვირფას სიძის

## ალექსანდრე ელიზბარისძის გუნდიევისას

დაკრძალვა ხუთშაბათს, 18 იანვარს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე—გოგოლის ქ., 61. 65

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები სოფიო ნიკოლოზის ასული და როსტომ დიმიტრის ძე და მისი შვილები ნიკოლოზ, დიმიტრი, მიხეილი, შალვა და ქეთევანი ჩიკვაიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად მოკლულ ვოლნოოპრედელ აიუშჩის ქართულ ცხენოსან ბატარეის

## გიორგი (ქორა) როსტომის ძე ჩიკვაიძის

გამოსვენება დანიშნულია დღეს, 18 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან საღამოს 5 საათზე ტფ. სადგურზედ, საიდანაც წაასვენებენ დაბა სურამში პარასკევს დილის 8 საათზე. 81

---

ღრმად დამწუხრებულნი დიდედა კნ. ევა და ქალიშვილი მარიამ ნიკოლოზის ასული ჩხეიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად მოკლულ ვოლნოოპრედელიაიუშჩის ქართულ ცხენოსან ბატარეის

## გიორგი (ქორა) როსტომის ძე ჩიკვაიძის

გამოსვენება დანიშნულია დღეს, 18 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან საღამოს 5 საათზე ტფ. სადგურზედ, საიდანაც წაასვენებენ დაბა სურამში პარასკევს დილის 8 საათზე. 81

---

ქართველთა პარტიზანული რაზმი შტაბს-როტმისტრ ე. აფხაზავასი აუწყებს გულითადის მწუხარებით ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს და საზოგადოებას ქ. ტფილისისას, რომ მოქალაქის მოვალეობის გმირულად ასრულების დროს დაიღუპა რაზმის ფრიად საყვარელი უფროსი შტაბს-როტმისტრი

## ე. ს. აფხაზავა.

განსვენებულის ცხედარი დასვენებულია სასტუმრო „ნოეში". პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. და დილის 10 ს. გასვენება მშობელ სოფელ ჯურუყვეთში დასაკრძალავად (ოზურგეთის მ.) მოხდება 18 იანვარს, ნაშუადღევს 4 ს. 73

---

ღრმად დამწუხრებული ანა სოლომონის ასული, ბარბარე გიორგის ასული, მარიამ მიხეილის ასული გუნდიევებისა და სოფიო მიხეილის ასული დუმბაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლის, მეორე მაზლისა და უკანასკნელი ძვირფასი ბიძის

## ალექსანდრე ელიზბარისძის გუნდიევისას

დაკრძალვა—ხუთშაბათს, 18 იანვარს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე—გოგოლის ქ., 61. 65

---

უზომოდ დამწუხრებულნი „ვოლნოოპრედელიაიუშჩები" ქართველთა სამთო ცხენოსან ბატარეისა [illegible]

## ნ. ი. მაქარაშვილის

და ვოლნოოპრედელიაიუშჩის

## გ. ი. ჩიკვაიძის

ტრაგიკულად დაღუპვას თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს ჯავშნიან მატარებელზე. 77

---

მეუღლე ნატალია ბავლეს ასული შვილებით: აპოლონი, გრიშა, თამარი, გიორგი, ალექსანდრე და ლუკერია დიდიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელი ქმრის და მამის

## ამბაკო კაციასძე დიდიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება სოფ. დიდ ჯიხაიშში შაბათს, 20 იანვარს მიქელგაბრიელის ეკლესიაში. 72

---

პარმენ დავითის ძე, სიმონ და ილია პარმენისძენი გამყრელიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარი

## ნიკუშა მაქარაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე ქვაშვეთის ეკლესიაში, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება გორის მაზრის ს. არბოში, წმ. გიორგის ეკლესიაში, საგვარეულო აკლდამაში. გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან ვოგზალისაკენ მოხდება პარასკევს, 19 იანვარს წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება 10 საათზე. 69

---

ქართველი არტილერისტები გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ მოვალეობის ასრულების დროს გმირულად დაიღუპნენ—ქართულ ცხენოსან სამთო ბატარეის პოდპორუჩიკი

## ნიკო ილიას ძე მაქარაშვილი

და

იმავე ბატარეის ჯარისკაცი

## გიორგი ჩიკვაიძე.

75

---

უზომოდ დამწუხარებულნი ოფიცრები ქართველთა სამთო ცხენოსან ბატარეისა ამით აუწყებენ პოდპორუჩიკ

## ნ. ი. მაქარაშვილის

და ვოლნოოპრედელიაიუშჩის

## გ. რ. ჩიკვაიძის

ტრაგიკულად დაღუპვას თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს ჯავშნიან მატარებელზე. 80

---

ნინო ნიკოლოზის ასული პლიშევსკი ქმრით, ეკატერინე ნიკოლოზის ასული ჟღენტი ქმრით, თამარა ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-დავითიშვილი ქმრით და ელენე ნიკოლოზის ასული ფაღავა ქმრით მწუხარებით აუწყებენ, რომ მათი დაუვიწყარი დისწულის, ტრაგიკულად მოკლულის, ქართულ ცხენოსანთა ბატარეის ვოლნოოპრედელიაიუშჩის

## გიორგი (ქორა) ჩიკვაიძის

გამოსვენება დანიშნულია დღეს, საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან ტფ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ დ. სურამში. 81

---

## თედო ღლონტის ლექცია

კვირას, 21 იანვარს პარტიულ კლუბში თ. ღლონტი წაიკითხავს საჯარო ლექციას

## აგრარული კაპიტალიზმი

ადგილების ფასი 50 კ.—1 მან. 50 კაპ., ბილეთები იყიდება „სახალხო საქმის" კანტორაში და პარტიულ კლუბში ძველის სემინარიის შენობა.

1042 დასაწყისი სწორედ საღამოს 7 საათზე.

---

## ქუთაისი

სამშაბათს,
23 იანვარს
ქალაქის თეატრში

არის. ჭუმბაძის
გრ. როზაქიძის და
ი. გრიშაშვილის

მონაწილეობით გაიმართება დიდი

## საღამო-ზადიკობა

დაწვრილებით აფიშებში

ბილეთების ადრევე დაკვეთა შეიძლება თეატრის დახლიდართან, ხოლო გაყიდვა—შაბათს, 20 იანვ.

გამგე ლევან ქორქაშვილი

---

## ქართული კლუბი

დღეს, 18 იანვარს ქართველი სტუდენტობა მართავს

## დიდ საღამოს

## ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

მონაწილეობას იღებენ ქართველ მსახიობთა და მომღერალთა საუკეთესო ძალები. 1044 დასაწყისი საღამოს 8 ს.

---

## ქართულ კლუბში

შაბათს, 20 იანვარს, გაზ. „ალიონის" ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება

## დიდი საღამო-კონცერტი

ფართე პროგრამით: 1) კომედია, 2) საკონცერტო განყოფილება ქართულ კლუბის ხაომერო ძალთა მონაწილეობით, 3) ბალეტი: პრიმაბალერინა ბაუერ-ზახი, ბალეტმეისტერი ვაკარეცი.

შემდეგ **გრანდიოზული ბაზარი** მსახიობ პოლის ხელმძღვანელობით და პოლუბინსკაიას, ჩაიკოვსკაიას, ტორსკისა, ბარტენიევისა, პერსიონისა და სხვათა მონაწილეობით.

ბილეთები იყიდება „იმედის" სასადილოში, საჩაიე „ძმურ ნუგეშში", „ალიონის" რედაქციაში და ლაღიძის კაფეში". 1033

---

## საჩქაროდ მჭირდება

ქართულ პოლიტიკურ გამოცემის საქმის მწარმოებელი და მწერალი, რომელიც საკმაოდ მომზადებული უნდა იყვნეს საოჯახო ნაწილის საწარმოებლად. მსურველმა უნდა მიმართოს ნიკო ჩემენკოშვილს, ლერმონტოვის ქუჩაზე, № 27, საღ. 5—7 საათამდე. 78

---

## ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში

მოსამზადებელ, 1, 2, 3, 4 და 5 კლასებში სწავლა განახლდება შაბათს 20 იანვარს, დილის 8 ნახ. საათზე. დანარჩენ კლასებში სწავლა რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება, რის შესახებაც თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

1048



# დიდი ცირკი
## ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 18 იანვარს, გაიმართება

## დიდი სასპორტო წარმოდგენა

ახალი არტისტების და მთელი დასის მონაწილეობით გასტროლები ცნობილი სერბელი ქალის საუკეთესო მსროლელის ვოიანის და აკრობატების კამო, უკანასკნელი გასტროლები კუპლეტისტ ძდანოვის. გასტროლები საუკეთესო მოჯირითე-ჟოკეის ვლადიმიროვის და აგრეთვე სხვები. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. საარიდო და ჩუგისიანცი, 2. ყარამანოვი და ალბერტ რააგო, 3. ზბიშკო ციგანევიჩი და მსუბუქი „სვობოდა", 4. ხერბეკ როლანდი და დევგმირი დობრინია, 5. ჯოე-მორა და მედელაური. წარმოდგენა დაიწყება საღ. 8 საათზე, გათავდება 12 ს.

ანონსი: შაბათს 20 იანვარს გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა „არტისტების დღესასწაული", წმინდა შემოსავალი არტისტების სასარგებლოდ გადაიდება. ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. 80


# სახლის კომიტეტები

ვინაიდან საჭიროა მოჰხდეს მცხოვრებთა შორის ფართო პოპულიარიზაცია შესახებ სახლო ორგანიზაციებისა, ტფილისის ქალაქის გამგეობა მიჰმართავს თხოვნით ყველა საზოგადოებრივ და მთავრობის დაწესებულებებს, საბჭოებს, პარტიულ და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, საპროფესიო კავშირებს, კოოპერატივებს და სხვა დაწესებულებათ დაეხმარონ მას ხალხის კომიტეტების პოპულიარიზაციის და ორგანიზაციის საქმეში.

სახლის კომიტეტებისთვის საჭირო მასალა მოიპოვება ყველა უბნების საზარათო ბიუროებში.

1041 ტფილისის ქალაქის გამგეობა.

# ინსტრუქცია
## სახლის კომიტეტების დასაარსებლად

2—3 მცხოვრები (საინიციატივო ჯგუფი) იწვევს სახლის ყველა მცხოვრებთა კრებას, რასც აცხადებენ ორი დღით ადრე და განცხადებას გამოჰკიდებენ დასანახ ადგილზე.

შენიშვნა: თუ სახლში 5 ბინაზე ნაკლებია, იწვევენ მეზობელ სახლთა მცხოვრებთ.

**ნიმუში უწყებისა**

**უწყება.**

ყველა მცხოვრები სახლში (სახლის პატრონის გვარი) №.... ქუჩაზე მოიწვევა საორგანიზაციო კრება ბინა № ამა და ამ საათზე, ამა და ამ რიცხვზე.

**საგანი სხდომისა:**

1) პროექტი სახლის ორგანიზაციისა.
2) სახლის კომიტეტის არჩევნები.

**საინიციატივო ჯგუფი.**

კრების დანიშვნა სჯობიან საღამოსათვის, ან კვირა დღეს.

კრებას ხსნის საინიციატივო ჯგუფის წევრი და წინადადებას იძლევა აირჩიონ თავმჯდომარე კრებისა და მდივანი. უკანასკნელი ჩასწერს გვარებს იქ მყოფთა და ბინების №№, სადაც ისინი სცხოვრობენ და აწარმოებს სხდომის ოქმებს.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საინიციატივო ჯგუფის რომელსამე წევრს ეძლევა სიტყვა და იგი კითხულობს სახლის ორგანიზაციათა პროექტს.

შენიშვნა: დაბეჭდილი პროექტები წესდებისა შეიძლება მიიღოთ საუბნო საზარათო ბიუროებში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თავმჯდომარე წინადადებას იძლევა აირჩიონ კომიტეტის წევრთა იმდენი რიცხვი, როგორც წესდებაში იქნება.

კომიტეტის არჩევის შემდეგ დამსწრენი ხელს აწერენ განცხადებას სახლის კომიტეტის რეგისტრაციისათვის.

**ნიმუში განცხადებისა.**

საუბნო . . . სასურსათო კომიტეტს.

ამა და ამ ქ. № (სახლში მცხოვრებთა)

**განცხადება.**

ამით პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი შევიკრიბენით (რიცხვი და თვე) 1918 წ. ავირჩიეთ სახლის კომიტეტი (იმდენი და იმდენი კაცისაგან). სახელდობრ (სახელი და გვარები).

ხელის მოწერის ადგილი. 1039

# სახლის ორგანიზაციათა წესდების პროექტი

**შემუშავებული სასურსათო გამგეობის საგანგებო კომისიისაგან.**

### 1. სახლის ორგანიზაციათა მიზანი.

1. შემსუბუქება სასურსათო კრიზისისა (ბრძოლა პურის, შაქრის და სხ. რიგებთან).
2. მოწესრიგება ბინის პატრონთა და სახლის პატრონთა ურთიერთობისა და ბინის პატრონთა და ბინის დამქირავებელთა დამოკიდებულებისა.
3. მოწესრიგება ბინის პატრონთა და მათ მოსამსახურეთა ურთიერთობისა.
4. სახლების სასანიტარო გაუმჯობესება.
5. ბრძოლა ბინის უშოვნელობასთან.

### 2. სახლის ორგანიზაციის შემადგენლობა.

სახლის ორგანიზაციის წევრად ითვლება ყველა, ვინც სახლის ტერიტორიაზე სცხოვრობს, 18 წელი შესრულებია და განსაზღვრულ საწევროს შემოიტანს.

### 3. სახლის ორგანიზაციის გამგენი.

სახლის ორგანიზაციის საქმეების ბატონ-პატრონია:

ა) საზოგადო კრება,

ბ) სახლის კომიტეტი.

საზოგადო კრება კანონიერია, თუ კი მას ესწრება ყველა წევრთა ერთი მეხუთედი ან ბინათა წარმომადგენლების ერთი მესამედი.

თუ ამდენი ვერ გამოცხადდა, ინიშნება მეორე საზოგადო კრება, არა უგვიანეს ორი დღისა, რომელიც კანონიერი იქნება, რამდენიც უნდა გამოცხადდეს.

საზოგადო კრება ირჩევს სახლის კომიტეტს (თავმჯდომარეს, მდივანს და სხვ. თანამდებობის პირთ თავის შორის ირჩევს სახლის კომიტეტი) და სარევიზიო კომისიას 3 პირისაგან, რომელნიც სახლის კომიტეტში არ შედიან.

საზოგადო კრება იმართება არა-უმცირეს ერთისა თვეში.

გადაწყვეტილებანი მიიღება უბრალო ხმის უმეტესობით. თუ ხმები გაიყო, თავმჯდომარის ხმა სძლევს.

სახლის კომიტეტს აბარია სახლის ორგანიზაციათა საქმეები, ასრულებს საზოგადო კრების დადგენილებებს და თავის მოქმედების ანგარიშს აბარებს საზოგადო კრებას წელიწადში ორჯერ.

### 4. სახლის ორგანიზაციის საშუალებანი.

1. საწევრო გადასახადს წევრი იხდის ყოველ თვე, აგრეთვე შესასვლელს, იმდენს, რამდენსაც სახლის მცხოვრებთა საზოგადო კრება დააწესებს.
2. შემოწირულებანი;
3. სპეციალურ მიზნებისთვის დადებული გადასახადი.

სახლის კომიტეტებს აქვთ თავიანთი ბეჭედი ქუჩის და სახლის ნომრის აღნიშვნით. 1040

# პურის ბარათების

მასსიურად ბოროტად მოხმარების გამო ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 16 იანვრიდან, ყველა, ვინც პურის ბარათი დაჰკარგა—იხდის ჯარიმას სულზე 2 მანეთს. პურის ბარათეში დამკარგველებს მიეცემა გაზეთებში გამოცხადების და დაკარგვის დადასტურების შემდეგ.

განცხადება იბეჭდება ქალაქის გამგეობის ხარჯით.

სასურსათო ბარათების განახლება სრულიად აღარ შეიძლება.

1038 ტფილისის ქალაქის გამგეობა.

# მეშვიდე ქართულ მსროლელ პოლკში
# აუქციონით გაიყიდება ცხენები.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთ ვთხოვთ მობძანდნენ 20 იანვარს, დილის 10 საათზე, სამხედრო სასწავლებლის ეზოში, მიხეილის პროსპექტზე.

სამეურნეო ნაწილის უფროსი. 1037

**ტფილისი, 18 იანვარი 1918 წ.**

**ექსპერიმენტალური ლაბორატორია**

ჩვენს მიმდინარე ცხოვრებას რომ თვალი გადაავლოთ ფრიად საყურადღებო სურათს დაინახავთ, რევოლიუციის პირველ დღეიდანვე დაარსდა მრავალი დაწესებულება, რომელთაც ერთი მიზანი ასულდგმულებდა:—სახელმწიფოებრივ უფლების ხელში ჩაგდება! მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, გლეხთა ცენტრი, კავკასიის კომისარიატი, ამიერკავკასიის კომისარიატი, ინტერპარტიული საბჭო, ეროვნული საბჭო... ყველა ესენი დაარსების პირველ დღეიდანვე გაიძახოდნენ, რომ საჭიროა ძალა, უფლება ავტორიტეტული რევოლიუციონური მთავრობა და სხვ. ეს ამოძახილი დღესაც გვესმის და მას ოდნავადაც არ დაკარგვია მნიშვნელობა თუმც თერთმეტი თვეა ვიძახით და ამისათვის მრავალგვარი სარევოლიუციო ორგანიზაცია შევქმენით. ორშაბათს, 22 იანვარს ტფილისში მოწვეული იქნება კიდევ უფრო ავტორიტეტული პატრონი ამიერკავკასიისა—დამფუძნებელ კრებისათვის არჩეული დეპუტატების კრება და შესაძლებელია მოწამე გავხდეთ ადგილობრივ დამფუძნებელ კრებისა, რომლის ერთი თავსამტვრევ საკითხად იგი წყალი კითხვა იქნება ძალა-უფლების ორგანიზაციისა.

შესძლებს თუ არა ამიერკავკასიის სეიმი რევოლიუციის თერთმეტი თვის ბრძოლის მიზნის განხორციელებას და დამყარდება თუ არა ჩვენს ქვეყანაში სასურველი სიწყნარე და მყუდრო ცხოვრება? ჩვენ ძალიან კარგად ვიცით გავლენა მომავალ საამიერ-კავკასიო სეიმისა, მაგრამ არ შეგვიძლიან ეხლავე არ გამოსთქვათ ჩვენი იჭვი სეიმის ყოვლის შემძლებლობის შესახებ, ერთხელ და უკანასკნელად უნდა ვსთქვათ, რომ ვერავითარი ვარიაცია სხვა და სხვა მოვლენისა ვერ გადაჭრის ცხოვრების ძირითად საკითხებს, თუ ამ საკითხებს ძირითადვე არ გადავსჭრით. თერთმეტი თვის განმავლობაში მენშევიკების პარტიამ ჩვენი ქვეყანა ექსპერიმენტალურ ლაბორატორიად გარდააქცია, საცდელ მინდვრად, ზემოჩამოთვლილი ფორმები სარევოლიუციო ორგანიზაციებისა მენშევიკთა ექსპერიმენტების ნაყოფია და თუ ვერც ერთმა ხსენებულმა ორგანიზაციამ დღემდე ვერაფერი გააკეთა, ოდნავადაც ვერ შესცვალა არსებული ძალთა განწყობილება, იმიტომ, რომ მენშევიკები, რომელნიც სრული გამგებელნი და მესვეურები არიან ჩამოთვლილ პერტურბაციისა ორგანიულად უძლურნი არიან რაიმე აღმშენებლობითი მუშაობა აწარმოვონ და ცხოვრების ახალ პირობებს ახლივე მტკიცე ფორმები შეუქმნან. ნურავინ მოიტყუილებს თავს იმის განცხადებით, რომ მენშევიკები მუდამ ეყრდნობოდნენ კოალიციონურ პრინციპს და შეუძლებელია მენშევიკებს მოეთხოვოს პასუხი დღემდე რომ წყალს ნაყავთ და ვერაფერი გაკეთდა ხალხის სასარგებლოდ, ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენში არსებული კოალიციონური მართველობის სისტემა უბრალო დეკორაციაა ფორმალური ხასიათის, რომლის შინაარსი მენშევიკების ფაქტიური დიქტატურაა, ამიერკავკასიის სეიმიც ახალი სახე იქნება მხოლოდ მენშევიკების დიქტატურისა და თუ თერთმეტი თვის განმავლობაში მენშევიკების მოქმედება მრავალ უდიდეს მარცხის თაიგულია—ცხადია იგივე პარტია ერთის ხელის დაკვრით ვერ განიკურნება ორგანიულ სნეულობიდან, მით უმეტეს, რომ ამიერკავკასიის სეიმი პერსონალურადაც არ შეიცავს ახალ მოღვაწეთა ძალთა განწყობილებას.

ჩვენ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, თუ რა მომავალი ექნება ამიერკავკასიის სეიმს, მხოლოდ შემდეგი შეგვიძლია ვსთქვათ, ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია რომ სახურავიდან იწყება და საფუძველს კი არავინ აქცევს ყურადღებას, იმ ფაქტს გვიმტკიცებს, რომ მენშევიკებს ძველი ტაქტიკისათვის თავი ეხლაც არ გაუნებებიათ და სეიმის მოწვევაშიაც იმეორებენ ძველ შეცდომებს. დიდი ზეიმის გამართვა, ცხარე სიტყვების წარმოთქმა, ტაქტიკურ სიბრძნეზე ლაპარაკი—დაუსრულებელ ლაპარაკის ისტორიას კიდევ ერთ ფურცელს მოუმატებს და თუ ჩვენი მენშევიკები ექსპერიმენტებისათვის გაჩენილან და ჩვენ ქვეყანას ლაბორატორიის თვალსაზრისით უყურებენ—უნდა გამოტეხით ვსთქვათ, რომ ამ გზით ვერაფერი გაკეთდება, საცდელი მინდორი ბოლოს გამოიფიტება სავსებით და მენშევიკების ფანტაზიებსაც საზღვარი დაედება. შეიძლება მართლა მაშინ გაიშალოს ახალი ხანაც ჩვენს ცხოვრებაში და მართლა ვეღირსოთ თავისუფლებას და თავისუფლების დამცველ წესებს.

# ფედერატიული რესპუბლიკა

გუშინდელი ჩვენი გაზეთიდან მკითხველი გაიგებდა, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ, რომელმაც რამდენიმე კანონის გამოცემა მოასწრო და რომლის ბედიც ჯერ კიდევ საბოლოვოდ არ არის გამორკვეული, რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. ჩვენ ამ ამბავმა არც გაგვაოცა და არც მაინც და მაინც დიდი სიხარული გვაგრძნობინა. არ გაგვაოცა იმიტომ, რომ, ვინც რუსეთის დღევანდელს ცხოვრებას კარგად ადევნებდა თვალყურს, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ დამფუძნებელი კრება სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. ძალიან არ გაგვახარა იმიტომ, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ მიღება ფედერალიზმისა ჯერ კიდევ მის რეალურ განხორციელებას არა ნიშნავს. ფედერალიზმი მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე და ურყეველი, როდესაც იგი დაემყარება არა დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემულ კანონს, არამედ **რეალურ ძალთა განწყობილებას**. საჭიროა თვით ცხოვრების სიღრმეში მოჰხდეს ისეთი **გარდაქმნა**, რომელიც თავისთავად კარგს კანონს სათანადო შინაარსს მისცემს. ისეთი გარდაქმნა რუსეთში კი ყველგან არ მომხდარა. პროცესი ამ გარდაქმნისა ყველგანა სწარმოებს, მაგრამ ყველგან არ დასრულებულა ძველებური ტრადიციები, გაძლიერებულნი ბიუროკრატიული ცენტრალიზმით, აფერხებენ ამ გარდაქმნას და შეუძლებლადა ჰხ თა განვითარებას, რომლებ სერი ი. თავისუფალ ერთა თავის ყველა სოციალისტური პა ხრეა ფედერალიზმისა, ყო ხვევაში მომხრეა პოლიტი წყობილების ამ ფორმისა, ტარა ერებისა, ისეთი ძლიე ლი პარტია, როგორიც სოც რევოლიუციონერების პარტი რამ ფედერალიზმის პრაქტ განხორციელებას წინ მაინც რი დაბრკოლებანი ელობება. ბა იმიტომ, რომ ძალა ბიუ ტიულ ცენტრალიზმისა, ძალა ბიური ჩინოვნიკური კიდევ ძლიერია. იმ რომ, რო განვითარებული ეროვნული ჰქონდა, მოახერხა და დაა ბიუროკრატიული ტრადიცი ლიუციონური გზით შეუდგ ცხოვრების გარდაქმნას, თან რევოლიუციო პრინციპებისა და შესცვალა ძალთა განწყობილება რომ ყველა იძულებული გაჰხ გარიში გაეწია ამ ახალი ფაქტო თვის. ასეთი ერია, მაგალითად რაინელები, აი ამიტომ სრული სეთის დამფუძნებელი კრების რუსეთის გამოცხადება ფედერალ რესპუბლიკად ჩვენში მაინცა და მა დიდს სიხარულს არ იწვევს, თუმცა გარემოება ჩვენი იდეალების ბრწყინ ვალე გამარჯვებად მიგვაჩნია.

რუსეთში დღეს ორი ძალა ებრძვი ერთმანეთს: სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების იდეის მატარებელი დანარჩენი სოციალისტური და დემოკრატიული ნაწილი. აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკურ წრეებში ხშირად ისმოდა ხმა ფედერალიზმის სასარგებლოდ, უაღრესი ცენტრალისტები, ისეთები რომლებიც უკრაინის თავისუფლება საც კი ვერ ურიგდებიან მხოლო იმიტომ, რომ უკრაინელები ბოლშევიკების ტაქტიკას არ იზიარებენ,—ასე თი ცენტრალისტებიც კი ხშირად სწე რენ, რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად უნდა გადაიქცესო. სახალხო კომისართა საბჭოს კონკურენტიც—სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრება—ფედერალიზმის წინადადება ბა და რუსეთს ფედერატიულ რესპუ ლიკად აცხადებს. თუ ეს ერთი მ რის საწინააღმდეგო ძალა, რუსე ცხოვრების დღევანდელ პირობებ ფედერალიზმის აღიარებას შესაძლე ლად სცნობს, ეს მხოლოდ იმის მომ სწავებელია, რომ ყოფილა რაღაც თი, რაც შეუძლებლადა ჰხდის ძვე ბურის გზით სიარულს. ეს რაღაც არის, რომ ახალი რუსეთი შეუძლებ ლია აშენდეს, თუ ფართო და გან ზღვრელი გასავალი არ მიეცა რუსე ში მოსახლე ერთა თავისუფალ განვ

# დღევანდელი საფრთხე და ჩვენი საჭიროებანი

ისტორია მოითხოვს პოლიტიკურ და სოციალურ გამჭრიახობას... დღეს ვიმყოფებით არა სოციალურ სამოთხის წინაშე, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ საშინელების წინაშე...

ამ ქვეყანაზე, ალბად, უფრო მეტია ძალა ბოროტისა, ვიდრე ძალა კეთილისა.

განსაცდელის ჟამი დადგა: ეკონომიური ცხოვრება სრულიად დაშლილია, მრეწველობა ქალაქებში და მეურნეობა სოფლად დაეცა... ხალხის საზრდოების წყარო ისპობა... ბაზარზე არავითარი საქონელი არ მოიძებნება. პური, დღიური ლუკმა პური, აუტანელის ტანჯვით შეიძლება მოიპოვოს ადამიანმა... მთელი ცხოვრება ეკონომიური ვითომდა ქაღალდის ფულის გაკეთებით განისაზღვრება, ხალხის ტანჯვამ და უბედურებამ უაღრეს წერტილს მიაღწია. აუტანელი ეკონომიური ცხოვრება რთულდება სასტიკი სოციალური უთანხმოებით: მოქალაქობრივი ომი მთელს რუსეთის სივრცეზე გაჩაღებულია და შეიძლება ამ ომმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღოს. ლამის არის ნაციონალური ომიც დაიწყოს.

პოლიტიკური ქაოსი ყოველივეს აღემატება. ის, რაც ეხლა დამფუძნებელ კრების გარშემო სწარმოებს, სრულიად არ არის მომასწავებელი იმისა, რომ ამ მოკლე მომავალში უფლების ავტორიტეტი აღდგენილ იქნება.

თუ დავაკვირდებით თანამედროვე სინამდვილეს, დავინახავთ საოცარ წინააღმდეგობას პოლიტიკურ საშუალებათა და პოლიტიკურ-სოციალურ მიზანთა შორის.

ხშირად დესპოტიური საშუალება და აჯანყების ჩვეულება ერთი მეორესთან არის გადახლართული და კანონად მიჩნეული. პოლიტიკური მოქმედება (მით გაჰო ხალხება, რომ ამა თუ იმ მდგომარეობიდან ხსნას ზემოდან მოელიან მაშინ, როცა ეს ხსნა მხოლოდ ქვემოდან შეიძლება მოგვევლინოს და დახმარებას თხოულობენ ქვემოდან, როცა ეს უნდა იყოს ერთსულოვნების შედეგი, ერთეულის წადილი...

ჩვენს წინაშე იშლება სურათი აბსოლუტიისა და ანარქიისა...

საერთაშორისო მდგომარეობა რუსეთისა სავსებით გამოურკვეველია. მართალია, ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა დიდ თანაგრძნობით ეპყრობიან რუსეთის დემოკრატიათ გადაქმნას, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, როდის და სად შეიძლება ამ კეთილგანწყობილებას საზღვარი დაედოს; არ არის აგრეთვე სინამდვილესთან დაშორებული ის გარემოებაც, რომ ეს კეთილგანწყობილება კიდევაც მოისპოს...

გამოურკვეველია ზავის საკითხი ჯარის დაშლის და ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ.

ეჭვს გარეშეა ჯარმა ფაქტიურად ომი გაათავა და ცენტრალურ სახელმწიფოებს და მათ მოკავშირეებს დიდი თავისუფლება მიანიჭეს.

მოსალოდნელია თუ არა ამ მხრით სიურპრიზები და შესაძლებელია თუ არა დატრიალდეს მოულოდნელი ამბები; მოგველის თუ არა ამ მხრით დიდი საფრთხე და დემოკრატიისათვის დიდი წინდახედულება და მომზადება საჭიროა თუ არა.

ყოველივე ეს დღეს რუსეთის წინაშე აყენებს სერიოზულ და ძნელ საკითხებს და მდგომარეობა მით უფრო რთულდება, რომ კულტურულად რუსეთი დიდად ღარიბია. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ კულტურულ აღზრდას მოკლებული ვართ და ამისათვის არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის, რაც პოლიტიკურად განადგურებულია, დაცემულია, ხშირად კულტურულად სცხოვრობს. ვისაც კი შეუსწავლია, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორია, უსათუოდ განცვიფრებას მისცემია იმის გამო, თუ როგორ ადვილად და საოცარის სისწრაფით რესპუბლიკანელები, იაკობინელები და სხვები გადაქცეულან ყრუ-მონა-მორჩილ ბონაპარტისტებად. რასაკვირველია ეს გარემოება არ აიხსნება მხოლოდ პირად ინტერესებით გამოწვეულ რენეგატობით. აქ უმთავრესად იმ მოსაზრებას აქვს ადგილი, რომ ცხოვრების ნამდვილ შესწავლისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ პოლიტიკური ფორმების დანგრევა. პოლიტიკურ ფორმების შეცვლას დიდი გავლენა აქვს, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა მთელი პროცესი ცხოვრების შეცვლისა, საჭიროა კულტურული რევოლიუცია. პოლიტიკურ რევოლიუციას არ შესწევს ძალა ფერი უცვალოს ცხოვრებას ერთბაშად და იგი სამართლიანობის და მშვენიერების წყაროდ უეცრად აქციოს.

ამისათვისაა რომ ვიმეორებთ, რაც პოლიტიკურად მოკვდა, კულტურულად სცხოვრობს და ეს გარემოება დიდი ყურადღების ღირსია მით უფრო დღეს, როცა რევოლიუცია საფრთხეშია. არასოდეს მშრომელი ხალხის ინტერესი, მისი კლასობრივი მისწრაფება თანამედროვე რევოლიუციის პროცესში არ განიცდიდა იმგვარ გაჭირებას, არასოდეს ხალხის თავისუფლება და ამ თავისუფლების პოეზია და შინაარსი არ ყოფილა იმ გვარ განსაცდელში, როგორც დღეს... რევოლიუცია, შეიძლება ვსთქვათ, უკვე ხალხის სისხლში ბანაობს... სისხლი, სისხლი ბალტიის ზღვიდან დაწყებული ვიდრე შავ ზღვამდე, სისხლი ყველგა მრავალტანჯული მშრომელი ხალხისა სანტიმენტალობას არ ვართ ჩვეულ შიშსაც არ შევუპყრივართ, მაგრამ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ საჭირო შესაფერისი ზომები. ამას შეუძლიან ვნება მოგვიტანოს; თუ არა ფერი მოხდა, ჩვენ შეგვეძლება დას ძინებლად წასვლა; თუ რამე მოხდა ხალხი დაინახავს, რომ მათ ვინც თა ვიანთ ადგილებზე უნდა ყოფილ ყონ, მოვალეობა წმინდათ შეუსრულ ბიათ. ამისათვის საყვედურს არავი იტყვის...

თავისთავად ისმება საკითხი: მზად ვართ თუ არა ჩვენ? აქვს თუ არა ქართველ დემოკრატიას იარაღი, მომზადებულია თუ არა საჭირო რიცხვი ჩვენი ერისა, არის თუ არა ძალაუფლება მისი სულისა და ხორცის მატარებელი, მისი მშრომელი ხალხის მედგარი დამცველი.

დემოკრატიისათვის ზემოაღნიშნულ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის სახელმწიფო დაირღვა, დაშალა. ქართველმა დემოკრატიამ ა ნამედროვე პირობებში თვითონ უნ მოუაროს ჩვენს ქვეყანას და თავ თავს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რ ჩვენ სეპარატისტულ მიდრეკილებ მომხრენი ვყოთ; არა; ჩვენ საკმა დაშორებული ვართ სეპარატიულ მართულებას, მისი გაზიარება არ გვიძლიან. ჩვენ გვწამს მთლიანობა ერთოდ დემოკრატიისა, ამ მთლიან ბაზე ვამყარებთ რევოლიუციის მარჯვებას და მშრომელი ხალხის ტერესების დაცვას. მაგრამ არ შე ძლია სინამდვილეს გვერდი აუარ ეს მთლიანობა დემოკრატიისა დღ საუბედუროდ, არ არსებობს. მსოფლ ომმა დაარღვია საერთაშორისო ძმო

თარებას. ძველებური რუსეთი, რუსეთი თვითმპყრობელი ბიუროკრატიისა, სახელმწიფოს მთლიანობას ამყარებდა მხოლოდ ხიშტით. მოუხეშავი ძალის დახმარებით ძველი მთავრობა განაგებდა რუსეთს, ამტკიცებდა აპეკას მპყრობელი ერისას დამორჩილებულ ერებზე. რთული და უზარ-მაზარი ბიუროკრატიული მექანიზმი ისე იყო მომართული, რომ პეტროგრადიდან შესაძლებელი ყოფილიყო რუსეთის ყველა ერთა დამორჩილება. ლიბერალიზმი წინააღმდეგი იყო თვითმპყრობელობისა, მაგრამ იდეა მპყრობელი ერის ბატონობისა პატარა ერებზე მათში არა ნაკლებ ძლიერი იყო. ლიბერალების წარმოდგენით, პატარა ერებს შეეძლოთ ესარგებლათ სამოქალაქო თავისუფლების ყოველნაირი სიკეთით. მაგრამ არც ერთს მათგანს უფლება არა ჰქონდა ეფიქრა, რომ რუსის ხალხის თანაბარი და თანასწორი ხალხია. რუსეთის რევოლიუციამ ლიბერალების ეს ილიუზიაც დაანგრია სწორედ ისევე, როგორც ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა. მიუხედავად იმისა, რევოლიუციის ხელმძღვანელი წრეები მაინც ვერ ამაღლდნენ იქამდის, რომ რუსეთის ყველა ერი თანასწორ უფლებიან ერად მიეჩნიათ. საჭირო გახდა დღევანდელი ანარქიის შექმნა, რომ ძველებურ აზროვნებას მორჩილებით ქედი მოეხარა სინამდვილის წინაშე. საჭირო გახდა საშინელი სამოქალაქო ომის გამოცხადება, რათა ყველასათვის ცხადი გამხდარიყო, რომ რუსეთის მთლიანობის აღდგენა შეიძლება **არა ზევიდან, არა ძალით, არამედ ქვევიდან და ნებაყოფლობით.**

თუ დღემდის ეს შეგნებული არა ჰქონდათ, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მესვეურნი სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ისეთს დიდს ფაქტორს რევოლიუციისას, როგორიც არის ეროვნული საკითხი და მპყრობელ ერთა შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობა; ვერა ჰხედავდნენ, რომ რუსეთის რევოლიუციას ამოძრავებს არა მარტო საზოგადო სამოქალაქო მოტივები, არამედ ერთა ინტერესებიც, რომლებიც მოითხოვდნენ რუსეთის აუცილებელ გარდაქმნას ახალ საფუძველზე, როდესაც ადგილი არ ექნებოდა ერთა დანაწილებას მპყრობელ და დამორჩილებულ ერებად. დანაწილება კი შეიძლება მოისპოს მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითოეულ ერს აბსოლიუტურ საშუალებას მივსცემთ თავისი ბედი თვითონ მოაწყოს და თავისუფლად დაუკავშირდეს ერთმანეთს, ასეთს შესაძლებლობას ჰქმნის მხოლოდ ფედერალიზმი, უკვე ოფიციალურად მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ.

რუსეთის ერები დღემდისაც სარგებლობდნენ რევოლიუციით და ამის შემდეგაც ისარგებლებენ. განსაკუთრებით გაუადვილდებათ ფედერალიზმის იდეის თანახმად გარდაქმნა ცხოვრებისა დღეს, როდესაც სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამაც რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. მაგრამ, როგორ გამოვიყენებთ ამ გარდაწყვეტილებას ჩვენ, ქართველები, ეს კი არ ვიცით. ჩვენში საზოგადოდ ძალიან უცნაური მდგომარეობაა შექმნილი. იმ დროს, როდესაც რუსეთი ფაქტიურადაც და ოფიციალურადაც ფედერატიულ რესპუბლიკად გადაიქცა, ჩვენში პოლიტიკური მესვეურობა ხელთ უპყრია ანტი-ფედერალისტურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. გამოდის, რომ ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმა ან უნდა მიიღონ ფედერაცია, როგორც უკვე მომხდარი ფაქტი და თავიანთი შემოქმედება ამისდაგვარად შესცვალონ; ან კვლავ ფედერალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრონ და ამით ბრძოლა გამოუცხადონ როგორც მთელს დღევანდელს რუსეთს, ისე იმ დამფუძნებელ კრებასაც, რომელსაც ნატრობს ჩუმის ნატვრითა ყოველ დღე ჩვენებური სოციალ-დემოკრატია.

დამფუძნებელი კრების მიერ რუსეთის გამოცხადება ფედერატიულ რესპუბლიკად მოითხოვს სათანადო მოქმედებას ადგილობრივ. ნაყოფიერი მუშაობა ადგილობრივი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონისა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც ფედერალისტურ ნიადაგზე სდგას. რადგანაც ჩვენში პოლიტიკური საჭე ხელთ უპყრია ისეთს პარტიას, რომელიც ყოველთვის ებრძოდა და ეხლაც ებრძვის ფედერალიზმს, ცხადია დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის ცხოვრებაში გასატარებლად პრაქტიკული მუშაობა გაძნელდება. გააძნელებს ის პარტია, რომელსაც ცხოვრებამ წინ გაუსწრო და ფედერალიზმი წინ წამოუყენა როგორც ფაქტი. მოახერხებენ თუ არა ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ამ წინააღმდეგობის ძლევას და დაემორჩილებიან თუ არა მომხდარ ფაქტს, ამას უეჭველად ახლო მომავალი გვიჩვენებს.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

# პრესის მაგიერ

ისევ უნდა აღვნიშნოთ „მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა საოლქო ცენტრის უწყების" („Извѣстія Кавк. Кр. цен.") ერთი დამახასიათებელი ხაზი. უბედურება ჩვენი ქვეყნისა სხვათაშორის ის იყო ამ ასი წლის მონობის დროს, რომ რუსეთიდან მოვლინებულნი მმართველნი და განმანათლებელნი არ იცნობდნენ და არც ჰსურდათ გაეცნოთ ადგილობრივი ცხოვრება, მისი ვითარება, ისტორია და სინამდვილე. ისინი თითონ ჰქმნიდნენ თავისი ფანტაზიით რეალურს მდგომარეობას და შერე ებრძოდენ მას. ასევე დღესაც. „იზვესტია" გვაყვედრის თქვენ საკუთარი ტაქტიკა არასოდეს გქონდათო, „ამას წინად ისინი სოც.-რევოლიუციონერებს უერთდებოდნენ, შემდეგ ხოტბას ასხამდნენ ბოლშევიკებს, ახლა კი... რაკი ხედავენ, რომ კავკასიაში პოლიტიკური პირობები უკიდურეს მემარცხენეთა სასარგებლოდ არ ეწყობა, ფედერალისტებს იერიში მიაქვთ ბოლშევიკების წინააღმდეგ"-ო...

დიდი ხანი არ არის, როცა დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ მიტინგებზე ბოლშევიკებს სთვლიდნენ ჭეშმარიტ რევოლიუციონერებადო და სხვა."

თავდაპირველად უნდა მოვახსენოთ გაზეთის მიმომხილველს, რომ თუ ჩვენ რევოლიუციის დასაწყისში მხარს უჭერდით კერენსკის მთავრობას, ეს იმდენად და იქამდე, სანამ და რამდენადაც იგი რევოლიუციის ლოზუნგების განაღდებას ჰპირდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავოდ, თუ ჩვენს პოზიციაზე დავრჩით და კერენსკისთან ერთად მარჯვნივ არ გადავიზნიქენით.

შემდეგ, თუ ბოლშევიკებს მხარს უჭერდით, ისევ იმდენად, რამდენადაც მათი კრიტიკა და ოპოზიცია გამარჯვენებულ დროებით მთავრობისადმი მართებული იყო, მაგრამ რა წამს ბოლშევიკებიც გარყვნა ძალაუფლებამ და სიტყვები მათს საქმეს დაშორდა, ისევ ჩვენს პოზიციაზე დავრჩით და არც მარცხნივ გაგვიკეთებია რევერანსები. მაშასადამე ცხადია, ჩვენი დამახასიათებელი თვისება სწორედ ჩვენი შეუგუებლობაა „დიდს" პარტიებთან, თორემ მაშინ ხომ არც იმ იერიშებს ექნებოდა ადგილი, რომელსაც აწარმოებენ ჩვენს წინაღმდეგ როგორც ესერები და მენშევიკები, ისე ბოლშევიკები და ბურჟუაზიული პარტიები. „იზვესტია" თუ ცოტათი თავს შეიწუხებს და ლოღიკურს დასკვნას შესძლებს, იგი უნდა დაგვეთანხმოს, რომ სწორედ ჩვენი პარტია არა ჰგავს მათსავით ლერწამს, რომელიც ქარის დაბერვით ხან მარჯვნივ გადაწვება და ხან მარცხნივ, არამედ იმ მუხასა ჰგავს, რომელსაც თვისი სიმტკიცის გამო ხშირად ქარიშხლისაგან ტოტები შემოემტვრევა და თითონაც შეიძლება წაიქცეს, მაგრამ ძალის წინაშე მიწას კი არ გაეკვრის.

„იზვესტიას" მეპრესე, რომ სხვისი კარნახით არ სწერდეს და მართლა, რომ თვალყურს ადევნებდეს ჩვენს გაზეთს, მას ეცოდინებოდა, რომ სწორედ იმ მიტინგებისა, დამფუძნებელ კრებისა და პარტიებთან გაწყობილების შესახებ მთელი რიგი წერილებისა დაიბეჭდა, სადაც ერთგვარად ვგმობდით დასაგმობს და ვაქებდით საქებს, როგორც დროებით მთავრობის, აგრეთვე „ბოლშევიკების" მოქმედებაში.

ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს და ეს გზაა საერთაშორისო ძმობა და კავშირი და სოციალური კეთილდღეობა მშრომელი ხალხისა.

რაც შეეხება ხაზის სისწორეს, „იზვესტიამ" თავის თავს მიაქციოს ყურადღება და აგვიხსნას, ეთანხმება განა მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდილი მეთაური იმას, რასაც იგივე გაზეთი სწერდა გუშინ წინ „ადგილობრივ დამფუძნებელ კრებებზე და ფედერ. რესპუბლიკაზე".

**ხ. დადიანი.**

# ზავის გარშემო

### ავსტრიის მთავრობა და რუსეთის ტერიტორია.

ჩერნინმა თავის სიტყვაში, რომელიც მან რეიხსრატში წარმოსთქვა, განაცხადა, რომ ავსტრიის მთავრობას რუსეთის ტერიტორიის ერთი მეტრის მოთხოვნაც არ სურს და არც ერთი გროში კონტრიბუციაო.

### გერტლინგის სიტყვა.

თავის სიტყვაში ჰერტლინგმა რეიხსტაგში განაცხადა: „მოკავშირეებმა უნდა შესცვალონ თავის მსჯელობის ტონი გერმანიის დანაშაულობის შესახებ. თითქმის მთელი ელზას-ლორენი გერმანიის ტერიტორიას შეადგენდა, რომელიც ძალ-მომრეობით წაართვეს გერმანიას. ერთს უმთავრეს ჩვენ პირობათაგანს შეადგენს—სრული თავისუფლება საზღვრებზე, როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომის დროს. ინგლისმა უარი უნდა სთქვას ისეთ სიმაგრეებზე, როგორიც არის ჰიბრალტარი, მალტა, ადენი, გონგ-კონგი და ფანკლანდის კუნძულები. გერმანია მზად არის იმსჯელოს შეიარაღების შემცირების საკითხის შესახებ. თავის დროზე უნდა განხილულ იქნას საკითხი კოლონიების ხელ-ახალი განაწილებისა. ბელგიის საკითხი დაწვრილებით საზავო მოლაპარაკების დროს იქნება განხილული. კონსტანტინეპოლის დაცვა და ხელშეუხებლობა გერმანიის არსებობის საკითხს შეადგენს. ცენტრალურმა იმპერიებმა განათავისუფლეს პოლონეთი მეფის რეჟიმისაგან და ამიტომ უფლება აქვსთ მისი მომავალი კონსტიტუციაც შეიმუშავონ. გერმანია მხოლოდ მაშინ დათანხმდება ერთა ლიგის საკითხის განხილვაზე, როდესაც ყველა სხვა საკითხი განხილული იქნება.

კანცლერის აზრით არასდროს არ ყოფილა ისე ხელსაყრელი პირობები როგორც ეხლა. „ჩვენს გაერთიანებაშია გამარჯვებაო"—დაასრულა კანცლერმა.

### საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან.

ამიერკავკასიის კომისარიატმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა არზრუმში კავკასიის მხედრობის სარდალს გენერალ ოდიშელიძეს: შესახებ ვეხიბ-ფაშის წინადადებისა, რომელიც თქვენ დეპეშით გვაცნობეთ იანვრის 1-ის თარიღით, გადაეცით ოსმალეთის სარდალს ვეხიბ-ფაშას შემდეგი:

ბ-ნო გენერალო! ამიერკავკასიის მთავრობა გაეცნო თქვენს წინადადებას, რომლის გამოგზავნა თქვენ მონდობილი გქონდათ ოსმალეთის მთავარ სარდლის ენვერ-ფაშისაგან. უპირველესად ამიერკავკასიის მთავრობა სწერს, რომ პასუხის გამოგზავნა დაუგვიანდა მისდა-უნებურად.

საქმის ვითარების შესახებ ამიერკავკასიის მთავრობა მოგახსენებთ, რომ ის, ისე, როგორც თქვენ, დიდად დაინტერესებულია ადრე ომის დამთავრებაში და მშვიდობიანობის დამყარებაში. მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობა ვერ დაგიმალავთ, რომ მას არ შეუძლიან დამოუკიდებლად და ცალკე აღძრას მოლაპარაკება სამშვიდობო პირობების შესახებ. ამიტომ იმას ამ საგნის თაობაზე მოლაპარაკება აქვს რუსეთის რესპუბლიკის სხვა ავტონომიურ მთავრობებთან. იმედია პასუხს სამი კვირის განმავლობაში მივიღებთ და მაშინ ჩვენს პასუხსაც არ დავაგვიანებთ.

ხელს აწერს ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე **გეგეჭკორი.**

# ახალი ამბავი

✦ **საგანგებო დელეგაცია.** გუშინ 17 იანვარს საკათალიკოსო საბჭოს მიერ არჩეული საგანგებო დელეგაცია, რომელშიაც შედიან მ. გ. ჯანაშვილი, რ. ა. ინგილო (ივანიცკი) მღ. ქრ. ციცქიშვილი იყო ამიერკავკასიის მაჰმადიანთა სასულიერო უწყების წარმომადგენლებთან მუფტი გუსეინ ეფენდი გაიბოვთან, შეიხულისლამ ახუნდ მამედ ახუნდ ალი ოღლი პიშნამაზესთან იმ არა სასურველ მოვლენის შესახებ მოსალაპარაკებლად, რომელიც მოხდა ზაქათალის ოლქის და ნუხის მაზრის მკვიდრ მაჰმადიანთ და ქართველებს (ინგილოთა და უდინებს შორის.

✦ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა ახალი გადასახადი დაწესდეს ფეხზე მოვაჭრეთათვის. პროექტის შედგენა დაევალა ქალაქის თავის ამხანაგს სმირნოვს.

✦ **ეროვნულ საბჭოს სექციებში.** 19 იანვარს საღ. 5 ს. დანიშნულია სატეხნიკო სექციის სხდომა. ამავე დღეს საღ. 6 საათზე დანიშნულია ხელოვნების სექციის სხდომა.

✦ **საქ. ეროვ. საბჭოს აღმასრულებელ** კომიტეტის სხდომა დანიშნულია დღეს, 18 იანვარს ნაშუადღევის 5 საათზე.

✦ **პანაშვიდი შინგარიოვსა და კოკოშკინზე** გუშინ სამხედრო ტაძარში ნაშუადღევის ორის ნახევარ საათზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი პეტროგრადში მოკლულთ შინგარიოვისა და კოკოშკინის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ წარმომადგენელნი ამიერკავკასიის კომისარიატისა, სხვა და სხვა ორგანიზაციის და მრავალი პატივის მცემელნი.

✦ **საქ. ეროვნულ საბჭოს სახალხო მეურნეობის** სექციის მორიგი სხდომა გაიმართება შაბათს 20 იანვარს ჰუთ. საად.-მამ. ბანკის განყოფილებაში (ფრეილინის ქ. № 1) დილით 2 საათზე. ვსთხოვთ წევრებს უეჭველად დაესწრონ, რადგან განსახილველია მრავალი საყურადღებო საკითხი.

✦ **ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო** აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ მორიგი სხდომები იმართება ყოველ კვირაობით ამ.-კავკ. ბანკის შენობაში დილის 11 საათზედ.

✦ **ტფილისის ქართულ სასულიერო სემინარიაში** სწავლა დაიწყება ორშაბათს, 22 იანვარს. შეგირდებს სთხოვენ დაუკლებლივ გამოცხადდნენ.

✦ **ტფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა** საყურადღებოდ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მმართველმა კომისიამ უკვე გამოუწერა სახალხო სკოლების მასწავლებლებს იანვრის ჯამაგირი, 210 მანეთის ანგარიშით თვეში, თანახმად ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილებისა. გამოწერილია აგრეთვე 180 მანეთი თითოეული მასწავლებლისათვის 5 აგვისტოს დეკრეტის თანახმად. აღნიშნულს ფულს მასწავლებლები სულ მოკლე ხანში მიიღებენ. სა გუბ. კავშირის თავმჯდომარე ვ. ბურჯანაძე, კავშ. სიღნაღის განყოფილების თავმჯდომარე ნ. დ. ყაზბეგი.

✦ **ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში** განთავისუფლდა მათემატიკისა და ფიზიკის გაკვეთილები V—VIII კლასებში (22 გაკვეთილი); ეს საგნები ქართულად ისწავლება.

✦ **სწავლის განახლება.** ტფილისის ყველა საშუალო, [illegible] დაწყებითი, სამინისტრო და ყოფილ [illegible] საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, სწავლა განახლდება 20 იანვარს.

✦ **სახლის კომიტეტების ინსტრუქტორები** ყველა საუბნო სათო საუბნო კომიტეტებში 16 იანვრიდან მიწვეულნი არიან განსაკუთრებული ინსტრუქტორები სახლის ორგანიზაციათა მოსაწყობად, რომელნიც მოქალაქეებს ყველა ცნობას მისცემენ სახლის კომიტეტების შესახებ.

ტფილისში მრავალ ადგილას უკვე დაარსდა სახლის კომიტეტები, რომელთაც მიუღიათ ნებართვა სურსათის რიგს გარეშე მიღებისა.

✦ **ყალბი პურის ბარათები.** დააპატიმრეს ყალბი პურის ბარათებით ქართველთა მე-4 პოლკის ბატალიონის ჯარისკაცი გიორგი ზანდარაშვილი. პასუხისგებაშია მიცემული აგრეთვე ი. ბატუაშვილი, რადგან გამგეობა მოატყუა—ბარათი დავკარგეო და ახალი გამოართვა.

✦ **საქართველოს ეროვნულ საბჭოში.** საქართველოს ეროვნულ საბჭომ დეპეშა მიიღო დავითგარეჯის წინამძღვრის ბერმონაზონ გერმოგენისაგან რომ მონასტერი ცეცხლით განადგურებულია, დაიღუპება ძველი ნაშთი დიდებულ საქართველოსიო. გერმოგენი დახმარებას სთხოვს საბჭოს.

✦ **უკრაინის ამიერ კავკ. რადა** სთხოვს ეროვნულ საბჭოს, მიიღოს ზომები ამიერ კავკასიაში მოსახლე უკრაინელთა ქონების და სიცოცხლის დასაცავად რომელნიც ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია ჩავარდნილი არეულობის გამო ისეთ ნაირადვე როგორც უკრაინაშია უზრუნველყოფილი უფლებანი სხვა უმცირეს ეროვნებათა. ეროვნულ საბჭომ ზომები მიიღო უკვე ამიერ კავკასიაში მოსახლე უკრაინელთა დასაცავად.

# სოფლად და ქალაქად

## ქუთაისი

✦ „საღამო-ზადიკობაში", რომელიც იმართება 23 იანვარს სხვათა შორის გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას საინტერესო თემაზე: „ბესიკი და ახალი მწერლობა" ამ საღამოზე ტფილისიდან მოწვეულნი არიან ახალგაზრდა პოეტები: ქ-ნი მარჯან, ი. მჭედლიშვილი და ი. გრიშაშვილი. ი. გრიშაშვილი წაიკითხავს დაუბეჭდავს ახალ ლექსებსაც.

✦ დღეს, 18 იანვარს ქუთაისის საკრებულოს დარბაზში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოდ. ტფილისიდან მოწვეულია ს. [illegible]შალიშვილი.

## ქ. ფოთი.

✦ ტფილისში მიმავალი სპეკულიანტთა ჯგუფი ჯარის კაცების ფარაჯაში გამოხვეული ჩარჩები სამტრედიიდან დაბრუნებული იქნა სავსე ტომრებით დაკლული ინდაურებითა და ქათმებით, ხუთ იანვარს მწვ ნე ბაზარში გააყიდვინეს. ქათმები ფასობდა ექვსი-შვიდი მანეთი, ხოლო ინდაურები კი თორმეტ ხუთმეტი.

✦ ექვს იანვარს ნათლიღებას რუს ჯარის-კაცებმა და მცხოვრებლებმა იდღესასწაულეს თოფების და ზარბაზნების სროლით. უკრაინელები თავისი ეროვნული დროშებით გამოვიდნენ.

✦ გაიხსნა ახალი „ფინჯანი ჩაი", რომლის მიზანია დახმარება გაუწიონ „ამ.-კავკასიის ცენტრს".

✦ ზოგიერთ ფურნეებში აცხობენ ჩუმად თეთრ პურს „მეთაურ" ვაჟბატონებისათვის. ასეთ უსამართლობას დროა ქალაქის საბჭომ ანგარიში გაუწიოს.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

**მთავარი კომიტეტის კრება. დღეს. საღ. 7 საათზე „სახალხო საქმის" რედაქციაში მოხდება მთავარი კომიტეტის კრება.**

# რევოლიუციონური ტრიბუნალი ტფილისში

კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის დადგენილებით ტფილისში არსდება რევოლიუციონური ტრიბუნალი. ტფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა გამოიმუშავა ამ ტრიბუნალის შემდეგი დადგენილებანი:

1. ტფილისში არსდება რევოლიუციონური ტრიბუნალი ქალაქში და მის განაპირა უბნებში მომხდარ და-

---

მუშებისა და უმეტესობა მშრომელი ხალხებისა რაღაც ძალის ზეგავლენით დაემორჩილა ბურჟუაზიას. თანამედროვე რევოლიუციის პროცესში დემოკრატიის მთლიანობა დაირღვა. დღეს ერთი რევოლიუციონური ფრონტი საკმაოდ გარღვეულია. შესაძლებელია ამიერკავკასიაში ამ ფაქტს არ ჰქონდეს იმგვარი ნათელი გამოხატულება, როგორც ეს სხვაგან არის; მაგრამ აქაც საკმარისი საბუთებია ამისა. ამიერკავკასიის კომისარიატის შემადგენლობაც ნათლად მოწმობს ამას. საოლქო დაწესებულებებშიაც არსებობს ერთგვარი წინააღმდეგობა. ხშირად ამ წინააღმდეგობას სასტიკი გამოხატულება აქვს... სამწუხაროა ეს ფაქტები, მაგრამ ისინი გარკვევით მიგვითითებენ იმ რეალურ საშიშროებაზე, რომელმაც შესაძლებელია ჩვენს დემოკრატიას მრავალი უბედურობა თავს მოახვიოს. ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ისტორიული ფაქტების ანალიზი კი გვეუბნება შემდეგს: არ არის იმგვარი წესწყობილება, რომელიც ყოველ პირობებში აბსოლიუტურად საუკეთესოდ იყოს მიჩნეული. მაგრამ საზოგადოების ცხოვრება ამა თუ იმ პირობების მიხედვით უსათუოდ გამორკვეულ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს.

ეს საკითხი დღეს ჩვენთვის ერთი უმთავრეს პრაქტიკულ საკითხთაგანია. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტას საუკუნოებით შეუძლია განსაზღვროს ცხოვრება ჩვენი ერისა. სოციალურ ცვლილებებს, მშრომელი ხალხის ყოველგვარ ინტერესების დაცვას დიდი დამოკიდებულება აქვს მომავალ პოლიტიკურ ფორმასთან და ეს ფორმა თანამედროვე რევოლიუციის პროცესში უსათუოდ უნდა ჩამოყალიბდეს. „დემოკრატია სცდილობს", სწერს „ერთობა" (ნ. № 9)

„შეაერთოს რუსეთი, მაგრამ ისე კი, რომ განაპირა ქვეყნებმაც არ დაკარგონ თავის სახე.

ამ შეხედულებამ დღეს რეალური გამოხატულება უნდა მიიღოს ამიერკავკასიის სინამდვილეში..,

დამფუძნებელი კრება გარეკეს და ჩვენ იძულებული ვართ მოვიწვიოთ ჩვენი დეპუტატების ადგილობრივი კრება. ეს კრება იქნება ადგილობრივი, ამიერკავკასიის საოლქო სეიმი. რადგან შეუძლებელია გულზე ხელები დავიკრიფოთ და ველოდოთ, სანამ „პატრონი მოვიდოდეს", ესე იგი, სანამ რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს, რადგან, ვიმეორებთ, დამფუძნებელ კრების იდეა ჯერ კიდევ ცოცხლობს და ძლიერია, მაგრამ ახლო მომავალში მისი მოწვევის იმედი ჩვენ არ უნდა გვქონდეს.

ამ რამოდენიმე თვის წინად „ერთობას" შეუძლებლად მიაჩნდა ამიერკავკასიის სეიმზე ლაპარაკი, შეუძლებლად მიაჩნდა ადგილობრივი დემოკრატიული და რევოლიუციონური ძალების ეროვნული ორგანიზაცია და შეჯგუფება. დღეს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებიდან ვითომდა ბუნებრივად მიაწყიეს ამიერკავკასიის სეიმამდე და ამბობენ:

„ამ გზით გავაძლიეროთ ადგილობრივ რევოლიუციის ბურჯი, შევქნათ ისეთი მდგომარეობა, რომ, თუ ვინიცობაა ჩრდილოეთში რეაქცია გაიმარჯვებს, ჩვენ საშუალება გვქონდეს ამ რეაქციის მოსევა მოვიგერიოთ"

ჩვენ არა ვართ ამიერკავკასიის საფედერაციო სეიმის წინააღმდეგნი. აუცილებლად მიგვაჩნია ამიერკავკასიის ერების, უკეთ რომ ვსთქვათ მათ დემოკრატიის შეთანხმება და ამ შეთანხმების დაგვირგვინება გამორკვეული პოლიტიკური სახით. თანამედროვე პოლიტიკური სიტუაცია ისეთია, რომ ეჭვი გვებადება შესაძლებელია თუ არა დღეს შველა საქმისა, თუ გინდ ვიაროთ ისე, როგორც „ერთობა" მოითხოვს. ამიერკავკასიის სეიმი შეკრებილი ისე, როგორც „ერთობა" სწერს თავდაპირველად უნდა ვაღიაროთ, რომ არ არის პოპულიარული და აქ დამნაშაობა, თუ კი დამნაშაობაზე შეიძლება საზოგადოთ ლაპარაკი, „ერთობას" მიუძღვის: იმ გვარ ცენტრალისტურ ბურუსშია გახვეული ხალხი ნებსით და უნებლიეთ და დღეს სოციალ-დემოკრატიის მეთაურთა მდგომარეობა ნამეტანი კრიტიკულია. ჩვენ მწუხარებით ვაღიარებთ, რომ „ცენტრალისტურმა მიდრეკილებამ" და დღევანდელმა მდგომარეობამ იქამდის მიგვიყვანა, რომ „მამათა და შვილთა" შორის წინააღმდეგობა დაიბადა და შესაძლებელია ჩვენი დიდი ეროვნული დემოკრატიული საქმე დაიღუპოს. ამ უთანხმოებით აიხსნება ერთგვარი გამოურკვეველი პოზიცია, ჩვენი სოც. დემოკრატებისა. ერთ დაწესებულებაში ერთს ტაქტიკას და გზას ადგანან, მეორე დაწესებულებაში ამ ტაქტიკაში იმგვარი შესწორება და ცვლილება შეაქვთ, რომ ახალი გზა იშლება. შესაძლებელია, რომ ეს პოლიტიკური სიბრძნეა, დიპლომატიური ნაბიჯები, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ცხოვრებამ დაამარცხოს დიპლომატები... და მაშინ,..

გარდა ამისა ამიერკავკ. სეიმი შემდგარი სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების დეპუტატებისაგან, სავსებით არ შეეფერება თანამედროვე სინამდვილეს და სრულიად გულწრფელად ვფიქრობთ, რომ ვაი თუ ამ სეიმმა ვერ შესძლოს „რევოლუციის ბურჯათ" გადაქცევა. სახალხო საქმის გაკეთება ქვემოდან, ძირიდან უნდა დაიწყოს. ყოვლად შეუძლებელია წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმალურ პოლიტიკური და სოციალური შენობის შექმნა. მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით უნდა ვიაროთ დღეს. სეიმის საშუალებით ზემოდან სურთ სახალხო საქმის გაკეთება, რევოლუციის დაცვა, გაძლიერება, და ამ გზით სიარულში, შესაძლებელია, ჩვენ დავკარგოთ ბევრი დრო და ხალხის, მრავალ ტანჯულ მშობელ ხალხის ინტერესებს ახალი უბედურება თავს დავატეხოთ...

ისტორია მოითხოვს პოლიტიკურ და სოციალურ გამჭრიახობას... თუ კი ახლო მომავლის ახსნა და შეგნება შეიძლება, უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთის რევოლუციის ხსნა ეროვნულ დემოკრატიულ ძალთა ორგანიზაციაშია. ეს ორგანიზაციები ამიერ კავკასიაში უკვე შექმნილ არიან და დიდს როლს თამაშობენ, კიდევ უფრო დიდი უნდა ითამაშონ. ამ გარემოებას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ჩვენ ამ განსაცდელ დროს გულგრილობას ვიჩენთ. ისე ვიქცევით, რომ ჩვენს ეროვნულ საბჭოს ავტორიტეტი დავუკარგოთ ხალხში... ჩვენი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი ორგანო ცხოვრების მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს, როცა საქართველოს ყოველ კუთხიდან მისკენ მიიწრაფიან... დროა გამოფხიზლდეთ... თორემ ადვილი შესაძლებელია რევოლუცია დამარცხდეს.

**ალ. მდივანი.**

დანაშაულობათა შესახებ საქმის გასარჩევად.

2. რევოლიუციონური ტრიბუნალი არჩევს საქმეებს: ა) მილიციონერებსა და დარაჯებზე თავდასხმის, მკვლელობის, ძარცვა-გლეჯის და საკუთრების ძალით წართმევის შესახებ; ბ) აღმასრულებელ კომიტეტისა და ქალაქის თვითმართველობის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის და აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებათა აუსრულებლობის შესახებ; გ) ვაჭართა გაფიცვის და სპეკულიაციის შესახებ.

3. რევოლიუციონური ტრიბუნალი შესდგება 8 კაცისაგან, რომლებსაც ირჩევს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი. რევოლიუციონური ტრიბუნალი ირჩევს თავის შემადგენლობიდან თავმჯდომარეს და მის ამხანაგებს.

4. დანაშაულობათა შესახებ საქმის გარჩევის დროს ტრიბუნალი შესდგება 3 კაცისაგან. თავმჯდომარეობს თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი.

5. რევოლიუციონურ ტრიბუნალთან არსებობს საგამომძიებლო კომისია 3—5 კაცისაგან შემდგარი, რომლებსაც ირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი; საზოგადოებრივი ბრალმდებელი და მისი ამხანაგი, არჩეულია აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტის მიერ.

6. ისეთ საქმეების შესახებ, რომლებსაც მოყვება დირსების აყრა, ხდება წინასწარი გამოძიება ტრიბუნალთან არსებულ საგამომძიებლო კომისიის მიერ. სხვა საქმეების გარჩევის დროს, აგრეთვე ყველა იმ შემთხვევაში, როცა ბოროტ-მოქმედს დააკავებენ ნაძარცვი საქონლით ხელში ან დანაშაულობის ჩადენის ადგილზე, ან როცა ის გამოტყდება თავის დანაშაულობაში სასამართლო არჩევს საქმეს ისე, რომ არ ახდენს წინასწარ გამოძიებას. ასეთ შემთხვევაში მილიცია მიჰყავს დაკავებული პირი პირდაპირ სასამართლოში და ამასთანავე ადგენს მოწმეთა სიას მათი მისამართის აღნიშვნით. დაკავებულ პირს დაუყონებლივ დაჰკითხავს ტრიბუნალის მორიგე წევრი, ამასთანავე დაკავებულ პირს ეძლევა უფლება გამოიწვიოს მოწმეები, თუ ისინი ცხოვრობენ ტფილისში და მათ ჩვენებას სასამართლო იცნობს საქმისათვის საჭიროთ. საქმის გარჩევა ინიშნება არა უგვიანეს 3 დღისა. თუ დანაშაული ჩადენილია ისეთ დროს, როცა ტრიბუნალს სხდომა არა აქვს, მაშინ დაკავებული პირი უნდა წარუდგინონ ტრიბუნალს მეორე დღეს 10 საათზე.

7. როცა საქმის გარჩევას შეუდგებიან ამ დებულებათა მე-5 მუხლის ძალით და ტრიბუნალმა დაინახა, რომ საქმე საჭიროებს დამატებით გამოძიებას, ის ან ა) გადადებს საქმეს 3 დღის ვადით დამატებითი მოწმეების გამოსაწვევათ, ბ) ან გზავნის საქმეს წინასწარ გამოსაძიებლათ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტრიბუნალი უგზავნის საქმეს უბნის გამომძიებელს, სამხედრო ან სამოქალაქოს, რომელიც გამოძიების შემდეგ გზავნის საქმეს საერთო წესით, ან გადასცემს საქმეს ტრიბუნალთან არსებულ საგამომძიებლო კომისიას.

8. ტრიბუნალთან არსებული საგამომძიებლო კომისია ახდენს გამოძიებას: საბოლოო დადგენილებას ადგენს საბრალმდებლო აქტის ფორმით გამოსაწვევ მოწმეების აღნიშვნით და საქმე ამ სახით გადადის ტრიბუნალის ხელში. საგამომძიებლო კომისიის დადგენილებას საქმის შეწყვეტის შესახებ ამტკიცებს რევოლიუციონური ტრიბუნალი.

9. საქმის ტრიბუნალში გადასვლის შემდეგ, მისი შემდეგი მსვლელობა, დაწყებული საბრალმდებლო აქტის ბრალდებულისათვის ჩაბარებიდან, ხდება იმ წესების თანახმად, რომლებიც ჩამოთვლილია მე-IV განყ. სამხ. სასამართლოს წესდებისა ომიანობის დროის სასამართლოს შესახებ.

10. ბრალდებულს აქვს უფლება ჰყავდეს დამცველი თავისი არჩევით; თუ ბრალდებული მოისურვებს, ტრიბუნალი ნიშნავს დამცველს.

11. განაჩენს არ ასაბუთებენ.

12. დანაშაულობათა იმ საქმეების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია დასჯის შესახებ დებულებებში, ტრიბუნალს აქვს უფლება გაადიდოს კანონში აღნიშნული სასჯელი 1—2 ხარისხით, მაგრამ არა უმეტეს კატორღისა. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო ტრიბუნალს აქვს უფლება გაადიდოს სასჯელი 3 წლით ციხეში დატუსაღებამდე ან 100 ათას მ. ჯარიმამდე. სპეკულიაციის შესახებ ტრიბუნალს ეძლევა უფლება ამის გარდა დაადგინოს საქონლის კონფისკაცია ხაზინის სასარგებლოდ.

13. ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## წერილი კახეთიდან

(სოფლის დაცვა და ანარქიის თავიდან აცილება)

საქმარისია წესიერება შეირყეს, არსებული ძალა შესუსტდეს, რომ თავი წამოჰყონ სხვა და სხვა ნაძირალებმა და პირადი სარგებლობისთვის წყალი გაიგონ აამღვრიონ.

მიმდინარე რევოლიუციის დასაწყისში, როცა ძველი ინგრეოდა და ჯერ ახალი ძალა-უფლება არ იყო დამყარებული, სოფლად ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა უწესობამ, თანდათან გაიზარდა და დღეს მშვიდობიან მცხოვრებთა სიცოცხლე უზრუნველყოფილი აღარ არის. მე იმ ძარცვა-გლეჯის, მკვლელობების და წესობის ჩამოთვლას არ შევუდგები, რომელიც ამ ჟამად კახეთში ხდება, არც იმას შევეხები, რა ხდებოდა წარსულ ზაფხულში მთაში საძოვრებზე ე. ი. მწყემსებზე თავდასხმას და საქონლის გარეკვას, რადგანაც ეს გაზეთის მკითხველს ეხსომება და არც ამის ქრონიკის აღნუსხვას შეადგენს ჩვენი წერილის მიზანი, მხოლოდ საჭიროებას შეადგენს, რაც მოხდა ეხლა მაინც გაეწიოს სერიოზული ანგარიში და გამოინახოს საშუალებანი რომლითაც იგი სავსებით თავიდან უნდა აეცილოთ.

ამის მოსპობას და მშვიდობიანობის დამყარებას, მარტო მილიციას, რაც უნდა გაძლიერდეს იგი, ან თუნდაც ჯარს, ვერ დავაკისრებთ, ეს შეუძლებელია, თუ თვით სოფელმა არ ითავა წესიერების დაცვა და თვით ხალხი მოწადინებული კიდეც, თუ საშუალება ექნება თავის დაცვისა იარაღით ხელში. ჯერ ისევ გაზაფხულში, როცა ძარცვა-გლეჯა და თავდასხმა ახლად ფეხს იდგამდა, სულ ადვილი იყო მისი სათავეში ჩაკვლა, რისთვისაც ბევრმა სოფელმა ითხოვა იარაღი ეს კითხვა რამდენჯერმე დასმული იყო მაშინდელ აღმასრულებელ კომიტეტში და ამ სტრიქონების დამწერი (როგორც კომიტეტის წევრი) მოითხოვდა იარაღს ზოგიერთი განაპირა საშიშ სოფლელთა შესაიარაღებლად მაინც. ბევრმა პირდაპირ შიშით შეხედა იარაღის დარიგებას და ამაში ზოგიერთს კონტრ-რევოლიუცია ელანდებოდა და ის კი ავიწყდებოდათ, რომ რევოლიუცია სულ სხვა სახით იპარებოდა... მშვიდობიანი მცხოვრებნი უიარაღონი იყვნენ და ყველა ნაძირალს უპასუხისმგებლო პირს კი სულ ადვილად ეძინდა საუკეთესო იარაღს.

იმ დროს ადვილიც იყო იარაღის შეძენა და ამჟამად სოფელი დარაზმული იქნებოდა და იარაღით ხელში წინააღუდგებოდა იმ უწესობას, რომელსაც დღეს ადგილი აქვს სოფლად, ნამდვილად სავსებით ეს იქნებოდა ერთადერთი მშვიდობიანობის და მყუდროების თავდები.

ეხლა მაინც, როცა სინამდვილე აშკარა შეიქმნა, როცა ყველა დარწმუნდა, რომ სოფლის დაცვა საჭიროა თვით სოფელმა იკისროს, ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყოველგვარი ჯერ არს ჯეროვანი ყურადღება, რაც უნდა განხორციელდეს შემდეგში: ყველა სოფლისთვის აუცილებლივ უნდა შეძენილ იქნეს იარაღი, რომელიც უნდა დარიგდეს მხოლოდ სანდო პირებს ერთმანეთის თავდებობით, ამნაირად უნდა შესდგეს პატარა რაზმი, რომლის სათავეში იდგება, ნდობით აღჭურვილი პირი და რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს რაზმი. ყველა სოფლის რაზმებს ერთმანეთში ისეთი მჭიდრო დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ, რომ საჭიროების დროს საჭიროდ შეერთდნენ ერთად სამოქმედოდ. ამ იარაღს რასაკვირველია სასტიკი კონტროლი უნდა გაეწიოს მხოლოდ ეხლა რომ სოფელში თავისუფლად იარაღი შედის, უნდა აიწეროს თუ სანდო პირია ჩაირიცხოს რაზმში, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ჩამოერთვას.

აი, ჩვენის აზრით, ერთად ერთი საშუალება (და ამ ზომების განხორციელებას ეხლავე უნდა შეუდგნენ), რომლის წყალობით ჩვენი ტურფა კახეთი უნდა ასცდეს იმ ამბებს, რომელიც დღეს ყველა კუთხიდან გვესმის...

დავიწყებული.

## სპარსეთის დამოუკიდებლობა

კავკასიის გენერალური ელჩის საშუალებით აცნობა სპარსეთის მთავრობამ ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ ყოველგვარ საიდუმლო თუ აშკარა ხელშეკრულობებს და კონვენციებს, რომლებიც მიმართული იყო სპარსეთის მთლიანობის, მისი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, აცხადებს გაუქმებულად როგორც ისეთ აქტებს, რომლებიც აღმოცენდა ტლანქ ძალაზე და მიმართული იყვნენ თავისუფალი ხალხის ნების ძალად ჩასახშობად.

## მოწერილი ამბები

ს. წინანდალი, (თელავის მაზრა), 31 დეკემბერს წარსული წლისა სახელმწიფო ეროვნულ მამულში (წინად საუფლისწულო) აქაური ახალგაზრდობის მეთაურობით, მათგანვე დაარსებულ წიგნთსაცავის სასარგებლოდ, იყო გამართული რუსულ-ქართული წარმოდგენა; რუსულად იყო ვოდევილი ჩეხოვისა „დათვი“ და ქართულად ცნობილი პიესა „ციმბირელი“ ზაქარია ბედურაშვილის ხელმძღვანელობით; საღამომ რიგიანად ჩაიარა. საზოგადოების ყურადღება მიიქციეს ანა სპარსიაშვილმა და გიორგი ქიორელმა, რომლების ცოდნით და ხელოვნური თამაშობით. რევაზ სვანელი უფრო კარგი იქნებოდა პეტუას როლში, რომ მას იგი შეესწავლა; მთელი შემოსავალი იყო 413 მან. ხარჯი 37 მან. 50 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 375 მ. 50 კ. რომელიც გადაეცა წიგნთ-საცავის გამგეობას.

სოფიო ზაქარიას ასული ლომაძის მეთაურობით და ხელმძღვანელობით აქაური ქვრივ ობოლ გაჭირვებულების სასარგებლოდ 5 იანვარს გაიმართა მეორე რუსულ-ქართული წარმოდგენა. თამაშობდა ისევ აქაური ახალგაზრდობა დადგმული იყო ილია ჭავჭავაძეს ცნობილი „დედა და შვილი“, რომელიც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, რადგან იგი ეხლანდელ ცხოვრებას შეეფერება. ჩინებული იყო დედის როლში სარა კურციკიძე. მეორე მოქმედება იყო რუსული წარმოდგენა. მერმე ისევ ქართული ამოღებული მეთიკოდამ მესამე მოქმედება; საღამო დამთავრდა სცენაზედ ლოკურით. საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა, ზევით ხსენებული ახალგაზრდობის ხელოვნური თამაშობით. შემოსავალი საღამოს ჰქონდა 450 მან. ხარჯი იყო 40 მან. დარჩა 410 მ. რომელიც გადაეცა მუშათა კომისიას გასანაწილებლად და ახლო მომავალში დასარიგებლად მართლად გაჭირვებულ ქვრივ ობლებისათვის.

უსურვებ ამ მამულის მოსამსახურეებს და მომუშავეებს და საზოგადოთ ყველა ძველ სცენის მოყვარეებს, დაკავშირდნენ სულიერად და ხალხს მიაწოდონ ხშირ-ხშირად სერიოზული საღამოები რაც ეხლა უფრო საჭირო არის, ვიდრე როდისმე.

პ. ტარი.

## პასუხად

ხარაგოულის რაიონის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ჰიპაშვილს.

მოქალაქე ლევანტი! გაზეთ „სოც.-დემოკრატი“-ს მე 218 ნომერში თქვენ მეკითხებით, ეთანხმებით თუ არა გაზეთ „მეგობრის“ მე-50 და მე-51 ნომერში მოთავსებულ „შ“ წერილს, რომელიც ბრალსა სდებს კომიტეტს, ვითომ კომიტეტმა გიჩივლათ თქვენ პარტიული თვალსაზრისით. მოგახსენებთ, რომ კომიტეტი მე გამოვიწვიე საჯაროთ სწორეთ იმისთვის, რომ გამეგო, თუ რა მოსაზრებით მიჩივლა. ხარაგოულში მომხდარმა დიდ ოლქობრივმა კრებამ, სადაც ბრალმდებლად გამოვიდა თქვენი ამხანაგი ნ. დეკანოსიძე, სრულიად უსაფუძვლოდ და უსამართლოდ სცნო კომიტეტისაგან ჩემს შესახებ აღძრული საჩივარი, მიცნო უდანაშაულოდ და გამომიცხადა დიდი თანაგრძნობა. კრებაზე ნ. დეკანოსიძემ ისიც კი განაცხადა, რომ ჩვენს პარტიას არ ეკუთნის და მისთვის არა გვსურს იყო კომისრადაო. ასეთი ამბავის შემდეგ ყველა საღი გონების პატრონი იმ დასკვნას გამოიტანდა, რომ კომიტეტს უჩივლია ჩემთვის პარტიული მოსაზრებით. ეს ნათელი ფაქტი აღნიშნა გაზეთში ამხანაგმა „შ“ რომელსაც სრულიად ვეთანხმებით და ჩვენ იმ აზრის გახლავართ, რომ კომიტეტმა მიჩივლა მხოლოდ პარტიული თვალსაზრისით.

ყოფილი კომისარი მ. დ—ძე.

*) ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენდაუნებურად დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო დაგვიანდა. მ. დ—ძე.

## ქართველები ბაქოში

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცელზე ადგილი დაუთმოთ შემდეგ განცხადებას: პრაპორშჩიკი ალექსანდრე თითბერიძე მსახურებდა ტაგანროგში მე 275 პოლკში. კვირკობისთვის დამლევში გადმოყვანილ იქმნა კავკასიის ფრონტზე. უმორჩილესად ვსთხოვ მის ოჯახობას, ან და ნაცნობ-მეგობრებს სასწრაფოდ მაცნობონ მისი ეხლანდელი მისამართი,

ჩემი მისამართი: **Батумъ, уголъ морской и Смѣкаловской „рабочій дворецъ“ Бюро Большевиковъ В. Бахтадзе.**

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს განცხადება.

პატივისცემით ვ. ბახტაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადო ადგილობრივ მკვიდრთა სახელით ქ-ნ ელენე აბულაძისას, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ორთა-ბათუმის (სამაჭახელო სამრევლო) უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს 55 მანეთის ქართული სხვა და სხვა წიგნები.

ამგვარი დახმარება მნიშვნელოვანია ქართველ მაჰმადიანთა გათვითცნობიერების საქმეში და იმედია პატივცემულ ქ-ნ ე. აბულაძისას მიმბაძველები აღმოჩნდებიან.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. ორთაბათუმის წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე:

ხტ. ნიკოლაიშვილი.


გამომცემელი
საგარეო შინაგანად ბი

რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
**დოქტორი**
**გ. გ. მეჰრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა — ქლექი & გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლიონიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—91. 683

ექიმი
**ქ. ლ. შალამბერიძე**
იღებს სიფილის და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
**ვ. მუსხელიშვილი**
იღებს ავადმყოფთ დილის 12—3 საათ. გორჩაკოვის ქ. № 6.

ექიმი
**თიკანაძე**
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი კბილისა
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კიროჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**ნ. ვ. აზრამიანცა**
**საბუღალტერო კურსები**
(არსებობს 1895 წლიდან).
ღებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია, ყოველ დღე მეცადინეობით.
15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1918 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი მიეცემა ყველას ნიკოლაევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44. 2259

ექიმი
**გ. გ. ნარიმანოვი**
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს სიფილისურ-ქრონ ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—71. 1030

ექიმი
**ი. გ. კონიევი**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის-უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოვე დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 3130

ექიმი
**პავლე არდაზიანი**
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
**დ. დ. ფავლენიშვილი**
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბარატინსკის ქუჩისა № 28/31. 1004

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
უფროსი ორდინატორი ტფილისის ქალაქის საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 16—87. 1009

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09 1032

ექიმი
**მ. ა. მიქელაძე**
... შინაგან და ბავშვთა ...
ღებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე ...
მოს 6—7 საათამდე, მიხეილის ...
პექტი № 117.

ექიმი
**გ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. მედიც. ინსტ.—ის შინაგან ... კლინიკებისა.
იღებს ავადმყოფებს
**ახალ ბინაზე**
გულისა, ფილტვისა და ...
სნეულებიანს სპეციალურად ...
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ...
გარდა კვირისა. ელისაბედის ქ. ...
7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბ...
დის“ პირდაპირ.

**დოქტორი მედიცინ...**
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორ...
ბავშვთა, შინაგან და ქირურგ...
სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-
საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1...

**ექიმ ნავასარდიანის**
**პირველი კერძო**
**სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპ...
ყოველ დღე (გარდა კვირის...
**დილით:**
11—12 ს. „606“ და „9...
ავეტიხიანი—კანისა და ვენ...
ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ...
რურგიული და ვენერიული (სიფ...
ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავ...
შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყ...
სა, ყელისა და ცხვირის სნეულებ...
**საღამოთი:**
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალ...
ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმო...
თათვის უფასოდ, კონსულტაციები...
ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედი...
ნის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1...

**მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის**
**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ**
**„სახალხო საქმე“-ზე**
ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.
**ნომერი ღირს 20 კაპ.**
ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.
ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
*Тифлисъ. ред. „Сахалхо Сакме“, почт. ящ. 190,*
რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დილით არის ღია.
ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

**სტამბა**
**სახალხო საქმე**
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს სუფთად, იაფად და თავის დროზე


სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქუჩა, სახლი № 14